



სარგბიელი

საორტული გაკეთი საგზაბათი 17 საქმეზბარი 2002 №175 (1697) შასი 50 თემირი

შევარდნაძე პუტინს ტრუსი ჩაასვა



ესეც ასე, ედუარდ შევარდნაძე ხუმრობის ხასიათზე მოსულა. ღმერთი ააშენებს ჯორჯ ბუშს, საქართველოს ძმობა-მეგობრობაში რომ გამოუტყვდა მთელ მსოფლიოს. მსოფლიოს ერთი დიდი ნაწილი კი რუსეთია და უმცროსი ბუშის ქვა-სიტყვაც სწორედ ერთ დროს ჩვენი დიდი ძმის ბოსტანში იყო ნასროლი. ხოლო იმის შეხსენება, რომ რუსთა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ქართულ ბოსტანში ბოშების სროლით იმუქრება, ვფიქრობთ, ზედმეტია. ამასობაში კი ახლოვდება 12 ოქტომბერი და ზემოთ მცირე პოლიტიკური „მიმოხილვის“ მერე ფეხბურთზე ვილაპარაკოთ — თავში ნახსენებ შევარდნაძის ხუმრობაზე ვთქვათ. ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტს ჩვენმა რუსმა კოლეგამ ჰკითხა, ხომ არ აპირებთ, 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთის მატჩზე ვლადიმერ პუტინი მოინფიოთ. შევარდნაძე არ დაიბნა და უპასუხათქვენ რა, მთავა ზოთხ, მე და პუტინი სტადიონზე საფეხბურთო ტრუსებში გამოწყობილი მივიდეთ? ამ საქმიდან რომ ნაღდად არაფერი გამოვა, ცხადია, მაგრამ შევარდნაძემ საქართველო — რუსეთის თბილისში შესაძლო არჩაბარებაზე (რუსები უსაფრთხოების გამო ჩამოსვლას უარობენ) ხუმრობის გარეშე თქვა: „საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და მას საერთაშორისო ოფიციალური მატჩების გამართვის დიდი გამოცდილება აქვს, 12 ოქტომბერს უსაფრთხოების ყველა პირობა იქნება დაცული. რუსი პოლიტიკოსებისა და სპორტული მოღვაწეების შიში სრულიად უსაფუძვლოა. მე ვერ აეუკრძალავ გულმემატკიერებს ქომაგობას, ეს ხომ ფეხბურთია“. ჩვენი პრეზიდენტის გულწრფელობისა რომ რუსეთში დიდი ხანია აღარ სჯერათ, ეს თავად შევარდნაძესაც მოეხსენება, მაგრამ აშფერად საქმეს ისეთი შირი უჩანს, ბატონი ედუარდი არ უნდა ტყუოდეს.



ტიმ მონტგომერიმ დადაამინა ახსტარს

ტიმ მონტგომერის ასე არასდროს ურბენია, უფრო მეტიც, ასე მანამდე არავის ურბენია... ადამიანი დიდი ხანია, დარბის და კარგა ხანია, უსწრაფეს ინდივიდთა რბენას დროის ჩარჩოში აქცევს, ზომავს, ერთმანეთს ადარებს. დრო გადის და ადამიანს ნაკლები დრო სჭირდება A და B წერტილებს შორის მანძილის გასარბენად, კაცობრიობა ფეხს უჩქარებს, მყარდება ახალი რეკორდები... დღეს სპრინტს ახალი მეფე ჰყავს, ამე-

რიკულმა ტიმ მონტგომერიმ დაამარცხა ანმყო და წარსული — ჰარიზში დიდი ჰარიზის ფინალში 100 მეტრი 9,78 წამში მოიღია და მორის გრინის სამი წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი 0,01 წამით დაამოკლდა. მომავალი ალბათ დაამარცხებს ტიმ მონტგომერის და მის რეკორდს, მაგრამ ანმყო ასეთია — მონტგომერიმ დაამარცხა წარსული და გახდა მსოფლიოს ყველა დროის უსწრაფესი ადამიანი



